მეც. დოქტორ ბესიკ ობოლაძის სამუშაო ვიზიტი შვეიცარიაში (ჟენევა, ლოზანა)

მ.წ. 28 ივლისს საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის დელეგაციამ – გენერალურმა მდივანმა (ბესიკ ობოლაძე) და აღმასრულებელმა მდივანმა (არტემ სანიშვილი) – ოფიციალური ვიზიტი გამართა მსოფლიო მშვილდოსნობის (World Archery) შტაბ-ბინაში (შვეიცარია, ლოზანა).

ვიზიტის ფარგლებში ქართულ დელეგაციას მსოფლიო მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ბატონმა რაულ კალინმა (Raul Calin) უმასპინძლა. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ოფიციალურად წარადგინა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმის ძირითადი თეზისები.

ბატონმა გენერალურმა მდივანმა (Raul Calin) მაღალი შეფასება მისცა წარდგენილ სტრატეგიულ პრიორიტეტებს და საკვანძო საკითხებს. გამოხატა სრული მხარდაჭერა და აღნიშნა დოკუმენტის მნიშვნელობა ეროვნული ფედერაციის გრძელვადიანი განვითარებისთვის.

შეხვედრაზე, დაისახა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული პერსპექტივები, გენერალურმა მდივანმა საერთაშორისო ფედერაციის სახელით მზადყოფნა გამოთქვა, საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნულ ფედერაციას გაუწიოს აქტიური მეთოდოლოგიური, ინსტიტუციური და სხვა სახის მხარდაჭერა დასახული მიზნების ეფექტურად განხორციელებაში.

საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (ბატონი სიმონ ნოზაძე) მადლიერებას გამოხატავს ბატონ რაულ კალინსა (Raul Calin) და მსოფლიო მშვილდოსნობის ფედერაციისადმი საქართველოს დელეგაციის გულითადი მასპინძლობისთვის, ნაყოფიერი დიალოგისა და პარტნიორული მხარდაჭერისთვის.

world archery
WARMLY WELCOMES
AIM